სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/57

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო, საექსპერტო საგამოცდო ლაბორატორიის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ნ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 4 ნოემბრის სხდომის №11 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ნოემბრის №01-05-04/178 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 7 ნოემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ხიდსაცდელი ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ნოემბრის №178 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები.

2. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 16 მარტის სხდომის №01-06-02/105 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო, საექსპერტო საგამოცდო ლაბორატორიის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-2 მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**